ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ბესიკ ბლიაძე

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" -თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

საანგარიშო პერიოდი- 01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ. -მდე

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2023 წ.-დან 01.11.2023წ. -მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 10

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2023 წ.

   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -6 , ესწრებოდა --5- სხდომას;
   - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -4 , ესწრებოდა -4 სხდომას.

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 2 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება 2 სხდომ

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და მათში ცვლილებების შეტანა;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრების წესის დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ და სხვა;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე.

5. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 4
   შეხვედრაზე მონაწილე მოქალაქეების რაოდენობა - 130

6. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
   ქ. ვალეში მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა წყალარინების სისტემის 2 ჭის დაზიანების ფაქტი, რომელიც პრობლემას უქმნის იქ მცხოვრებთ;
   ქალაქ ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე (8 სართულიანის მიმდებარედ) გამოიკვეთა გათბობის ძველი შენობის ამორტიზებისა და ანტისანიტარიის პრობლემა;
   ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის ავარიული ფასადის აღდგენა-შეკეთების საკითხი;
   ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის წყალარინების სისტემის დაზიანების საკითხი.ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის გასუფთავება.

7. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

   - სოფელ წნისში დასმული იქნა განათების ბოძის დამატების საკითხი, რომელის დადებითად იქნა გადაწყვეტილი.
   - ქ. ვალეში დაზიანებულ წყალარინების სისტემასთან დაკავშირებით მივმართეთ ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ახალციხის სერვის ცენტრს'', რის საფუძველზეც დაწყებული იქნა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
   - ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩაზე (8 სართულიანის მიმდებარედ) გამოკვეთილი გათბობის ძველი შენობის ამორტიზებისა და ანტისანიტარიის პრობლემის გადასაწყვეტად, საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს უმრავლესობის სხდომაზე, მერიის შესაბამის სამსახურის წარმომადგენელთან. შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ შენობა კერძო მესაკუთრის მფლობელობაშია, შესაბამისად აღნიშნულ ეტაპზე მხოლოდ ანტისანიტარიის პრობლემის მოგვარება გახდა შესაძლებელი. საკითხი აყვანილია კონტროლზე, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ.
   - ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის ფასადის ვარიულობის პრობლემასთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა პირად შეხვედრაზე. კორპუსის სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების

შესყიდვის თაობაზე გამოცხადებული ტენდერი ორჯერ არ შედგა, კვლავ მოხდა ტენდერის გამოცხადება;

- ქ. ახალციხეში თამარაშვილის ქუჩის N6-ში მდებარე კორპუსის წყალარინების სისტემის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, ოფიციალური მიმართვა გაიგზავნა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ფილიალის ახალციხის სერვის ცენტრში. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ მოხდა დროულად რეაგირება და ქსელის გაწმენდა ასენიზაციის სპეც. ტექნიკის გამოყენებით. ამჟამად, ქსელი მუშაობს გამართულად, წყალარინების ქსელის გაბიდვნის შეთხვევაში კომპანიის მიერ მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, წყალარინების ქსელის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. კომპანიის ინფორმაციით აღნიშნულ ქუჩაზე წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია გათვალისწინებული იქნება
- ქ. ახალციხის წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტში.

8. სხვადასხვა აქტივობებში, ღონისძიებებში და შეხვედრებში მათ შორის მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტებში საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადდება, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების მიზნებს , ამოცანებს, მათი მიღწევებს, კონკრეტულ მექანიზმებსა და განვითარების კურსი.

შევსების თარიღი ---20.10.2023ნ.

წარდგენის თარიღი---23.10.2023ნ

ხელის მოწერა----------